## სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
## აკადემიური საბჭო
## დადგენილება №01-05-04/150

ქ. თბილისი 18 ივნისი 2018

**სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტზე კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფ. დ. გურგენიძის 2018 წლის 12 ივნისის №01-09-33/3084 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტზე 2018-2019 სასწავლო წლისათვის პროფესორის ორ საშტატო ერთეულზე 500-საათიანი დატვირთვით №5 და №8 საგანთა ჯგუფების მიხედვით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე